EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

დიდი პალატა
პაპაჩელასი საბერძნეთის წინააღმდეგ
Papachelas v. Greece
საჩივარი №31423/96
1999 წელი, 25 მარტი

ფაქტები

მომჩივნები – არისტომენის პაპაჩელასი და იუჯინ პაპაჩელასი, საბერძნეთის მოქალაქეები, დაბადებულები 1926 და 1933 წლებში, ცხოვრობენ ქ. ათენში. 1988 წლის 9 იანვარს საბერძნეთის სახელმწიფომ მომჩივნების 8402 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაცია მოახდინა ახალი მთავარი გზის ასაშენებლად. თუმცა, მომჩივნებმა მხოლოდ 6.962 კვ.მ. შესაბამისი კომპენსაცია მიიღეს, N653/1977 კანონით გათვალისწინებული უტყუარი პრეზუმფციის გამოყენების შედეგად, რომლის მიხედვითაც, ახალი მთავარი გზების მშენებლობაზე მიმდებარედ ექსპროპრიირებული მიწის მფლობელები, მიიჩნევა, რომ სარგებელს ღებულობენ ამით და შესაბამისად, მათ მოეთხოვებათ წვლილი შეიტანონ ექსპროპრიაციის ხარჯებში. 1991 წლის 5 ივნისს საბერძნეთის სახელმწიფომ ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმართა კვადრატულ მეტრზე კომპენსაციის პირობითი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ერთეულის თანხის შეფასებისთვის. მომჩივნებმა, სხვა საკითხებთან ერთად, წარმოადგინეს შემფასებელთა ასოციაციის ოფიციალური ანგარიში, რომელშიც მიწა კვადრატულ მეტრზე 53, 621 დრაქმად იყო შეფასებული. თუმცა, კომპენსაციის საბოლოო ერთეულის ოდენობა კვარდატულ მეტრზე 52,000 დრაქმად განისაზღვრა. სამართალწარმოება დასრულდა 1995 წლის 20 ივნისს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მომჩივნების საჩივარი. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 1995 წლის 28 სექტემბერს და მომჩივნებმა მისი ასლი მიიღეს 1995 წლის 9 ოქტომბერს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით, მათი საქმე არ იყო განხილული გონივრულ ვადაში. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად ორი სახის დარღვევას. პირველ რიგში, ისინი დავობდნენ, რომ მინიჭებული კომპენსაცია ნაკლები იყო ექსპროპრიირებული მიწის ღირებულებაზე და მეორე, რომ N653/1977 კანონის 1-ლი პუნქტის მე-3 ნაწილით შექმნილი პრეზუმფციის გამოყენების შედეგად, მათ 8402 კვ.მ-დან მხოლოდ 6962 კვ.მ. ექსპროპრიირებული მიწის კომპენსაცია მიიღეს.

სამართალი

კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

43. მომჩივნები დავობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა ორ დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც:

„ყოველ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

44. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ კომპენსაცია შეფასდა მათი ექსპროპრიირებული მიწის ღირებულებაზე ნაკლებად. ისინი ასევე დავობდნენ, რომ N653/1977 კანონით გათვალისწინებული პრეზუმფცის გამოყენების გამო, მათ კომპენსაცია მიენიჭათ ექსპროპრიირებული 8402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან მხოლოდ 6962 კვ.მ-ზე. მთავრობამ გააპროტესტა ეს ბრალდებები, ხოლო კომისია დაეთანხმა მათ.

45. ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ მომჩივნებს ჩამოერთვათ ქონება N797/1971 საკანონმდებლო დადგენილების და N653/1977 კანონის შესაბამისად, რათა გაუმჯობესებულიყო მთავარი გზა და რომ ექსპროპრიაცია ამგვარად ემსახურებოდა კანონიერ მიზანს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მეორე წინადადება გამოყენებადია წინამდებარე საქმეში (იხ. Mellacher and Others v. Austria judgment of 19 December 1989, Series A no. 169, pp. 24-25, § 42)

ა. ეროვნული სასამართლოების მიერ შეფასებული კომპენსაციის ოდენობა

46. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათ საბერძნეთის სასამართლოების წინაშე წარმოადგინეს ორი ექსპერტიზის დასკვნა, რომლებშიც მათი მიწა ფასდება შესაბამისად 70,000-დან 100,000 დრაქმამდე (GRD) და 130,000 GRD კვადრატულ მეტრზე. მათ ასევე მოამზადეს შემფასებელთა ასოციაციის ანგარიში, რომელშიც მიწის ნაკვეთი კვადრატულ მეტრზე 53,621 GRD -ს შეადგენს. შესაბამისად, ისინი ამტიკიცებდნენ, რომ საბერძნეთის სასამართლოების მიერ კომპენსაციის საბოლოო ერთეულის კვადრატულ მეტრზე 52,000 GRD დადგენით, მათ მიადგათ ზიანი სულ ცოტა 13,619,642 GRD -ის ოდენობით.

47.მთავრობის მტკიცებით, ეროვნული სასამართლოების მიერ მინიჭებული კომპენსაცია გონივრულად შეესაბამებოდა ექსპროპრიირებული ქონების ღირებულებას. სხვაობა საბერძნეთის სასამართლოების მიერ შეფასებულ საბოლოო ერთეულ თანხას და მის ღირებულებას შორის, როგორც შემფასებელთა ასოციაციის მიერ იქნა შეფასებული, იყო მხოლოდ 1,621 GRD კვადრტულ მეტრზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობამ განაცხადა, რომ სტრასბურგის სასამართლო არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო და არ გააჩნია იურისდიქცია ხელახლა განიხილოს მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ ეროვნული სასამართლოები კომპენსაციის შეფასებისას.

48. ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ საკუთრებით მშვიდობიან სარგებლობაში ჩარევამ უნდა დაამყაროს „სამართლიანი ბალანსი“ საზოგადოების ზოგადი ინტერესების მოთხოვნებსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის (იხ. სხვა საკითხებთან ერთად, the Sporrong and Lönnroth v. Sweden judgment of 23 September 1982, Series A no. 52, p. 26, § 69). შესაბამისი კანონმდებლობით, კომპენსაციის პირობები არსებითია იმის შეფასებისთვის იცავს თუ არა სადავო ღონისძიება საჭირო სამართლიან ბალანსს და კერძოდ, აკისრებს თუ არა პროპორციულ ტვირთს მომჩივანს. ამასთან დაკავშირებით, ქონების მიღება მის

ღირებულებასთან გონივრულად დაკავშირებული თანხის გადახდის გარეშე, როგორც წესი, წარმოადგენს არაპროპორციულ ჩარევას, რომელიც არ შეიძლება გამართლებული იყოს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით. თუმცა, ეს მუხლი ნებისმიერ გარემოებაში არ იძლევა სრული კომპენსაციის გარანტიას, ვინაიდან „საჯარო ინტერესების" ლეგიტიმურმა მიზნებმა შეიძლება მოითხოვოს სრული საბაზრო ღირებულების ანაზღაურებაზე ნაკლები ოდენობა (იხ. the Holy Monasteries v. Greece judgment of 9 December 1994, Series A no. 301-A, pp. 34-35, §§ 70-71).

49. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში კომპენსაციის საბოლოო ერთეული თანხის სახით შეფასდა მხოლოდ 1,621 GRD-ით, რაც ნაკლებია ვიდრე შემფასებელთა ასოციაციის მიერ შემოთავაზებული თანხა. იმის გათვალისწინებით, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი ეროვნულ ხელისუფლებას ანიჭებს ფართო შეფასების ფარგლებს, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებისთვის გადახდილი თანხის ოდენობა გონივრულ კავშირში იყო ექსპროპრიირებული მიწის ღირებულებასთან.

50. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში არ დარღვეულა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, კვადრატულ მეტრზე მინიჭებული კომპენსაციის ოდენობასთან მიმართებით.

ბ. N653/1977 კანონით შექმნილი უტყუარი პრეზუმფციის გამოყენება

51. მომჩივნები დავობდნენ, რომ N653/1977 კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილით შექმნილმა პრეზუმფციამ ხელი შეუშალა სასამართლოს მეშვეობით მათ კომპენსაციის მიღებას 1440 კვ.მ-სთვის მათი ექსპროპრიირებული მიწის ნაკვეთზე.

52. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების ქონების ღირებულება გაიზარდა ახალი მთავარი გზის მშენებლობით.

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სისტემის მიხედვით კომპენსაცია ყოველთვის მცირდება იმ ოდენობით რომელიც ტოლია თხუთმეტი მეტრის სიგანის ფართობის ღირებულები, დაინტერესებულ მფლობელებს არ აქვთ უფლება ამტკიცონ, რომ რეალურად სამუშაოების შედეგებმა ან არ მოიტანა მათთვის სარგებელი - ან ნაკლები სარგებელი - ან გამოიწვია სხვადასხვა ხარისხის ზარალი.

ეს სისტემა, რომელიც ზედმეტად მოუქნელია და არ ითვალისწინებს სიტუაციების მრავალფეროვნებას, უგულებელყოფს განსხვავებებს, განსაკუთრებით სამუშაოების ხასიათისა და ადგილმდებარეობის გამო, სტრასბურგის სასამართლომ ორ მსგავს საქმეში

ადრე უკვე დაადგინა, რომ დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (იხ. the Katikaridis and Others v. Greece judgment of 15 November 1996, *Reports* 1996-V, pp. 1688-89, § 49, and the Tsomtsos and Others v. Greece judgment of 15 November 1996, *Reports* 1996-V, pp. 1715-16, § 40).

54. ევროპული სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, რომ გადაუხვიოს პრეცედენტულ სამართალს წინამდებარე საქმეში, რადგან მომჩივნებს ხელი არ შეშლიათ ეროვნული სასამართლოების წინაშე ემტკიცებინათ მათი სრული კომპენსაციის უფლება ქონებისთვის და მათ მიენიჭათ კომპენსაცია მხოლოდ 6,962 კვ.მ.-სთვის ექსპროპრიირებული 8402 კვ.მ.-დან. ამრიგად, მათ უნდა ეტარებინათ ტვირთი, რომელიც იყო ინდივიდუალური და გადაჭარბებული და შეიძლებოდა ყოფილიყო ლეგიტიმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შეეძლოთ დაემტკიცებინათ მათი სავარაუდო ზიანი, და წარმატების შემთხვევაში, მიეღოთ შესაბამისი კომპენსაცია. ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი იმის დადგენა, მომჩივნებს მართლა მიადგათ თუ არა ზიანი; სწორედ ამგვარ სამართლებრივ ვითარებაში აღარ არსებობდა საჭირო ბალანსის დადგენა (იხ. the Tsomtsos and Others, p. 1716, § 42).

55. შესაბამისად, დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, N653/1977 კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პრეზუმფციის გამოყენების შედეგად.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

56. წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცული უნდა ყოფილიყო მოპასუხე სახელმწიფოსა და მომჩივნის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. მან მომჩივნებს მიანიჭა ორი მილიონი დრაქმა ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.